საქართველოს ბანკი
ბიზნესი

ფაქტორინგი

რა არის ფაქტორინგი?

ფაქტორინგი **ვაჭრობის ფინანსირების** ერთ-ერთი ყველაზე მეტად მოქნილი პროდუქტია, რომელიც გულისხმობს **ინვოისების დაფინანსებასა** და **მიმდინარე დავალიანების მართვაში მხარდაჭერას**

ფაქტორინგის სახეები

- **ინვოისის დაფინანსება მოთხოვნის უფლებით:** თქვენ დაგიმტკიცდებათ 6-თვიანი ფაქტორინგის ლიმიტი, რომლის ფარგლებში ბანკი დაფინანსებას გასცემს ნებისმიერ დებიტორულ დავალიანებაზე

- **ინვოისის დაფინანსება მოთხოვნის უფლების გარეშე:** შეგიძლიათ მიიღოთ დაფინანსება ბანკის მიერ წინასწარგანსაზღვრულ კომპანიებზე, რომლებზეც ბანკი წინასწარ დაამტკიცებს ლიმიტებს

ვისთვის არის ეს პროდუქტი?

თუ თქვენ გსურთ მიიღოთ **დაფინანსება უზრუნველყოფის გარეშე პროდუქციის მიწოდების ან მომსახურების გაწევისთანავე**, ეს პროდუქტი თქვენთვისაა

ფაქტორინგი, ძირითადად, გამოიყენება შემდეგ ბიზნესსაქმიანობაში:

- წარმოება
- საბითუმო ვაჭრობა / დისტრიბუცია
- მშენებლობა
- ჯანდაცვა / ფარმაცევტული კომპანიები
- ტრანსპორტირება
- სხვა ნებისმიერი საქმიანობა, სადაც კომპანია აწოდებს დამკვეთს პროდუქციას ან უწევს მომსახურებას

ფაქტორინგის უპირატესობები

- თქვენ დაგიმტკიცდებათ ფაქტორინგის ლიმიტი 6 თვის ვადით, რომლის ფარგლებში შეძლებთ მარტივად და სწრაფად დაფინანსების მიღებას
- დაფინანსების მიღება შესაძლებელია უზრუნველყოფის გარეშე
- ტრადიციულ საკრედიტო პროდუქტებთან შედარებით შესაძლებელია უფრო მეტი დაფინანსების მიღება
- პროცესები მთლიანად გაციფრულებულია (თქვენ მხოლოდ ერთხელ კონტრაქტის გასაფორმებლად მოგიწევთ ბანკში მოსვლა)

როგორ მუშაობს ფაქტორინგი

მიმწოდებლის დაფინანსება

1

მყიდველი უკვეთავს მიმწოდებელს პროდუქციას



2

მიმწოდებელი აწვდის პროდუქციას ან უწევს მომსახურებას მყიდველს



3

მიმწოდებელი მიმართავს საქართველოს ბანკს ინვოისის დაფინანსებაზე



3

საქართველოს ბანკი აფასებს მიმწოდებლის ან მყიდველის გადახდისუნარიანობას



4

საქართველოს ბანკი აფინანსებს მიმწოდებელს გარკვეული პროცენტით (მაგ., 80%-ით)



5

დებიტორი თანხას ურიცხავს საქართველოს ბანკს, საქართველოს ბანკი კი დაფინანსებიდან დარჩენილ 20%-ს ურიცხავს მიმწოდებელს



*მიმწოდებელი-გამყიდველი
*მყიდველი-დებიტორი

რევერსიული ფაქტორინგი

თუ თქვენ გყავთ ბევრი მიმწოდებელი და, შესაბამისად, ახორციელებთ დიდი რაოდენობის შესყიდვებს, ფაქტორინგის საშუალებით შეძლებთ:

- გადახდის ვადის გაზრდას ლიკვიდობის გასაუმჯობესებლად

- თქვენი მიმწოდებლების განვითარებაში წვლილის შეტანას

დამატებით, ახალ ბიზნესინტერნეტბანკში დაგხვდებათ მოსახერხებელი და მარტივი ფორმა მიმწოდებლების ინვოისების სტატუსის გასაცნობად და გადასახდელად

რევერსიული ფაქტორინგის საშუალებით თქვენ და თქვენი მიმწოდებელი ისარგებლებთ, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი ბიზნესის განვითარებას

ფაქტორინგის გამოყენების პროცესი

- თუ გსურთ ისარგებლოთ ფაქტორინგით, გამოგზავნეთ განაცხადი ინტერნეტბანკიდან ფაქტორინგის ლიმიტის მოთხოვნით
- დაგიკავშრდებათ ბანკირი და შეგითანხმდებათ სერვისის პირობებზე
- ბანკირი უზრუნველყოფს ამ პროდუქტის ლიმიტის დამტკიცებას და ფაქტორინგის მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებას
- ამ პროცესის წარმატებით გავლის შემდეგ გადადით ფაქტორინგის ელექტრონულ პორტალზე ინტერნეტბანკიდან
- ფაქტორინგის პორტალზე შეძლებთ განახორციელოთ ფაქტორინგული ოპერაციები

ფაქტორინგის ელექტრონული პორტალი

საქართველოს ბანკი გთავაზობთ ფაქტორინგისა და რევერსიული ფაქტორინგისთვის ელექტორონულ პორტალს. პორტალზე გადასვლას შეძლებთ ინტერნეტბანკიდან პორტალის მეშვეობით თქვენ სრულყოფილად განახორციელებთ ფაქტორინგულ ოპერაციებს ელექტრონულად. ამ პორტალით სარგებლობა ძალიან მარტივია და თქვენ შეძლებთ:

მიმწოდებლის როლში:

- თქვენი დებიტორების დამატებას
- ინვოისების ატვირთვას
- დაფინანსების მოთხოვნას
- გაეცნობით დაფინანსებულ და დაფარული ინვოისებს / გადმოიწერთ რეპორტს

დებიტორის როლში:

- დაადასტურებთ ინვოისების ნამდვილობას
- ინტერნეტბანკიდან შეძლებთ ინვოისების დაფარვას, ამისათვის ბანკი წინასწარ შეგიქმნით საგადახდო დავალებას


საქართველოს ბანკი
ბიზნესი